იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში საქართველოსთვის იაპონური სამედიცინო აღჭურვილობის გადაცემის საზეიმო ცერემონია

2017 წლის 28 აპრილს ეროვნულ სასწავლო ცენტრში გაიმართა იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში საქართველოსათვის იაპონური სამედიცინო აღჭურვილობის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ბატონი დავით სერგეენკო, იაპონიის ელჩი ბატონი ტოშიო კაიტანი და სხვები. იაპონიის ელჩი იმავე დღეს ეწვია უნივერსალურ სამედიცინო ცენტრს და დაათვალიერა მოწოდებული აპარატურა.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში სამედიცინო აღჭურვილობა გადაეცა უნივერსალურ სამედიცინო ცენტრს, ბათუმის კლინიკურ რესპუბლიკურ საავადმყოფოსა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს. სამედიცინო აღჭურვილობა მოიცავს კომპიუტერულ ტომოგრაფიას, რადიოგრაფიის სისტემას (ციფრული ტიპის) ილუმინატორულ სკანერს, დეფიბრილატორებსა და ა. შ.

ელჩი შეხვდა ქალბატონ მარინას, ვისაც აღმოაჩნდა ფილტის კიბოს ადრეული სტადია და გამოჯანმრთელდა კომპიუტერული ტომოგრაფიის დახმარებით. მინისტრმა სერგეენკომ გამოთქვა მადლიერება, რომ დეფიბრილატორებმა გაზარდა სიცოცხლის შანსი პაციენტებისათვის 70%-ით. საგრანტო დახმარებამ ჯამურად ხუთასი მილიონი იაპონური იენი შეადგინა.

მინისტრი და ელჩი ათვალიერებენ დეფიბრილატორებს

ელჩი ათვალიერებს კომპიუტერულ ტომოგრაფიას

ქ-ნი მარინა (ცენტრში), ვინც განიკურნა ფილტვის კიბოს პირველის სტადიისგან კომპიუტერული ტომოგრაფიის დახმარებით

მინისტრი და ელჩი სასწრაფო დახმარების თანამშრომლებთან